ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო

ჩოხატაური წერეთლის ქ. №2

790 20-33-05
577 47-43-34

საკრებულოს თავმჯდომარის
ბ რ ძ ა ნ ე ბ ა №214

23 ივლისი 2013 წ.

კურორტ ბახმაროში 2013 წლის საკურორტო სეზონის უზრუნველსაყოფად გასატარებელ ღონისძიებათა შესახებ

კურორტ ბახმაროში 2013 წელს საკურორტო სეზონის ორგანიზებულად ჩატარებისა და დამსვენებელთა მომსახურების უზრუნველსაყოფად

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დაევალოს მუნიციპალიტეტის გამგებელს (თამაზ ჯინჭარაძე) უზრუნველყოს:

1.1 სეზონის განმავლობაში კურორტზე სახანძრო უსაფრთხოების დაცვა;

1.2 კურორტის წყალმომარაგების სისტემის მოწესრიგება;

1.3 კურორტის ტერიტორიაზე უკანონო მშენებლობის გამოვლენა და კანონის შესაბამისად მასზე რეაგირება;

1.4 შესაბამის უწყებებთან თანამშრომლობით ტელეგადაცემების მიღების მიზნით, შესაბამისი ღონისძიებების გატარება.

2. ა(ა)ი.პ. „კურორტ ბახმაროს“ დირექციამ უზრუნველყოს:

2.1 კურორტსა და მის მიმდებარე ტერიტორიაზე სანიტარული ღონისძიებების გატარება;

2.2 ეკოლოგიური მდგომარეობის შენარჩუნების მიზნით კურორტის ტერიტორიაზე პირუტყვის ძოვების აკრძალვა;

2.3 კურორტის ტერიტორიაზე უკანონო მშენებლობის გამოვლენის შემთხვევაში, შესაბამისი რეაგირებისთვის გამგეობის შესაბამისი სამსახურების ინფორმირება.

3. ეთხოვოს:

3.1 საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს (დავით სერგეენკო) მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილება რომელიმე პროექტის ფარგლებში, შესაბამისი დაფინანსებით ექიმი-სპეციალისტების მივლინებისა და კურორტის ტერიტორიაზე სასწრაფო - სამედიცინო ბრიგადის არსებობის შესახებ;

3.2 შსს გურიის სამხარეო მთავარი სამმართველოს ჩოხატაურის რაიონული სამმართველოს უფროსს (აკაკი მაისურაძე) კურორტის ტერიტორიაზე საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა;

3.3 ს.ს. „ენერგო-პრო ჯორჯიას“ რეგიონული ფილიალის ჩოხატაურის მომსახურების მენეჯერს (ივანე ჭარბაძე) კურორტ ბახმაროსათვის ელ-ენერგიის მიწოდებაზე კონტროლი.

4. ბრძანების შესრულებაზე კონტროლი დაევალოს საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეს ბატონ მიხეილ უნგიაძეს.

5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში, ოზურგეთის რაიონული სასამართლოს მაგისტრატ სასამართლოში ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში, მისამართზე – ჭავჭავაძის ქ. № 4.

6. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე

ანტონ ხუნდაძე

ვიზირებულია,

იურისტი *ედიშერ ჯიბუტი*